



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N13

ქ. მარნეული

14.07.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, რაგიმ ასკეროვი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, რაფიკ მუსაევი.

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი შუკაკიძე,

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 ივლისის N03/4599 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 5 ივლისის N2019-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 აპრილის N03/2232 წერილის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3069 წერილის განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარის მოსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

9. „მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 ივლისის N03/4461 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც გამოწვეულია იმით, რომ შედის ცვლილება 2016 წლის ბიუჯეტში. ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა - 239 ათასი ლარით. 22.5 ათასი ლარით შემცირდა საკანალიზაციო სისტემის მოწყობისა და რეაბილიტაციის მუხლი. გაზრდილი შემოსულობები დაემატა 22.5 ათასი ლარი. საგზაო ინფრასტრუქტურას - 11 ათასი ზოგადი განათლების ხელშეწყობას. 5000 ლარი - სარიტუალო მომსახურებას. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა - 23794.7 ათასი ლარით. ხოლო გადასახდელები განისაზღვრა - 28177.8 ათ. ლარით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 ივნისის N03/4147 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ შევიდეს ცვლილება ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის სამტატო განრიგში, საიმერლოს ბაგა-ბაღს დაემატება ფსიქოლოგის ერთი სამტატო ერთეული და ხელოსნის ერთი სამტატო ერთეული დაემატება ცენტრის ადმინისტრაციას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 ივლისის N03/4599 წერილით შემოსულია დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ გაეწიონ ფინანსური ერთჯერადი წახალისება მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენს ოთარ ნავერიანს, რომელმაც რუსეთის ქალაქ ანაპაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში დაიკავა მეორე ადგილი და მის მწვრთნელს ზურა მუშუდიანს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 5 ივლისის N2019-03 მოხსენებითი ბარათით შემოსული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ ქალაქ მარნეულში, 20 იანვრის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია მონაცემებით : საკადასტრო კოდი 83.02.13.007,

მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, 20 იანვრის ქუჩა N2გ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 აპრილის N03/2232 წერილი, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური ითხოვს სამსახურის უფლება-მოვალეობების უკეთ შესრულებისათვის მიემაგროს სამსახურის თანამშრომლის დევდარ დევდარიანის ავტომანქანა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3069 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახური ითხოვს კოორდინაციის განყოფილებას უფლება-მოვალეობების უკეთ შესრულებისათვის მიემაგროს სოფიკო ლუხუტაშვილის ავტომანქანა, ხოლო სოციალურ სამსახურს - დავით აროშიძის ავტომანქანა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარის რიჩარდ გიგანის 2016 წლის 13 ივლისის N15-05 მოხსენებითი ბარათი, რომელიც ითხოვს ფრაქციისათვის ავტომანქანის მიმაგრებას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგოჭურის 2016 წლის 13 ივლისის N16-05 მოხსენებითი ბარათი, რომელიც ითხოვს ფრაქციისათვის ავტომანქანის მიმაგრებას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა ბიუროს წევრებს გაუკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ არაერთხელ ითხოვა მომხდარიყო სათამაშო ბიზნესზე დაწესებული მოსაკრებლის გადახედვა და მისი გაზრდა, ვინაიდან მუნიციპალიტეტს დაწესებული აქვს კანონით განსაზღვრული მინიმალური ოდენობა 1500 ლარი, რაც ძალზედ მიზერულია და არ შეესაბამება არსებულ რეალობას. იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ წარმოადგინა დადგენილების პროექტი, ფრაქციამ შეიმუშავა და განსახილველად წარმოადგინა დადგენილების პროექტი „მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ სათამაშო აპარატზე დაწესდეს კვარტალური მოსაკრებელი 3000 ლარის ოდენობით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 ივლისის N03/4461 წერილი, რომლითაც ითხოვენ სხდომაზე განხილული იქნეს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში მოქმედი სოციალური პროგრამიდან გამონაკლისი შემთხვევის განხილვას სამუშაო ჯგუფის შექმნის სახით და მასში საკრებულოს წევრების ჩართვას. გამოითქვა აზრი, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო კომისიის ან სამუშაო ჯგუფის შესაქმნელად არ საჭიროებს საკრებულოს თანხმობას. გამოითქვა აზრი, რომ სასურველია განსაკუთრებული შემთხვევების განხილვა მოხდეს საკრებულოს მიერ, მით უფრო რომ შემუშავებულია შესაბამისი დადგენილების პროექტი. აღნიშნული პროექტის მიხედვით განისაზღვრება განსაკუთრებულ შემთხვევებს მიკუთვნებული საკითხები, მოხდება მისი განხილვა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაზე და გამოტანილი იქნება გადაწყვეტილების მისაღებად საკრებულოს სხდომაზე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესასრულებლად გადაიგზავნება აღმასრულებელ ორგანოში. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ითხოვა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს დაემატოს დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სხდომაზე განსახილველად შემოვიდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 ივლისის N03-4617 და 2016 წლის 13 ივლისის N2116-03 წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია განსაკუთრებული შემთხვევებისას მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის დამთავრებამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი მეტრეველმა ითხოვა მუნიციპალიტეტის მიწის ლეგალიზაციის კომისია, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 ივნისის N7/27360 წერილის გათვალისწინებით, დამტკიცდეს ახალი შემადგენლობით და მისი განხილვა მოხდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეცამეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი